ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/281019/6

ქ. თბილისი **28 ოქტომბერი, 2019 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ „შემოსავლების სამსახური“ სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის გიორგი გომარელის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ #204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი #TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ შპს „ტრანსლიდერი“ (შემდგომში მიმწოდებელი) მისი დირექტორის ლაშა ცოფურაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: გარდაბნის რაიონში, სოფ.ნორიო; ტელეფონის ნომერი: 599-900-870; ს/კ: 426517637, სს “თიბისი ბანკი“, კოდი # TBCBGE22, ა/ა # GE29TB7132636070100002

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურიდან მიღებული შემოსავლებით სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების მომსახურების (60170000 - სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება მძღოლთან ერთად) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 24 ოქტომბრის #130441-21-13 და 25 ოქტომბრის 131613-21-02 მოხსენებითი ბარათების და გამარტივებული შესყიდვის გზით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 შესყიდვის ობიექტია საქართველოსა და ჩინეთის სახალხოს რესპუბლიკის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში ღონისძიებაში მონაწილე წარმომადგენლებისათვის (5 პერსონა) მიმწოდებლის სარგებლობაში არსებული -1 (ერთი) მინივენით სატრანსპორტო მომსახურების გაწევა, მძღოლისა და ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1 200.00 (ერთი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით:

2019 წლის 28 ოქტომბერი - ბათუმის აეროპორტი - ბათუმი (სასტუმრო)

2019 წლის 29 ოქტომბერი -ქ. ბათუმი - სარფი-ადლია-ბათუმი;

2019 წლის 30 ოქტომბერი - ქ. ბათუმი-ფოთი-ბათუმი;

2019 წლის 31 ოქტომბერი - ქ. ბსთუმი (სასტუმრო) - ბათუმის აეროპორტი;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარმოუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია - სასაქონლო

ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“).

5.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.1.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი არაჯეროვნად განხორციელებული მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით;

13.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოცემულ მომენტში გადასარიცხი თანხის 0,05%-ის ოდენობით;

13.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმირ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.

13.4. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლის 13.1 და 13.3 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ღირებულება ნაკლები იქნება 10 ლარზე, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო 10 (ათი) ლარის ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 10 დეკემბერი.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური”	შპს „ტრანსლიდერი“
_____	_____
გიორგი გომარელი	**ლაშა ცოფურაშვილი**
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	დირექტორი